MES 3 22 0000044727

20/01/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
7. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
9. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
10. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
11. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
12. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.
13. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
14. ნიკათი კანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
15. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	სალომე პირველი	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	რექტორი	I
2.	ანჟელა აბულაძე			I

		შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი	
3.	ეკატერინე ჩინჩალაძე	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	პროგრამის ხელმძღვანელი	I
4.	მურმან ციქუბაძე	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი	I
5.	სოფო ალფაიძე	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი	I
6.	ზურაბ დავითაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II, III
7.	თორნიკე თურმანიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II, III
8.	ფიქრია ასანიშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განმახორციელებელი პერსონალი	II, III
9.	კონსტანტინე შუბითიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განმახორციელებელი პერსონალი	II, III
10.	რევაზ ჯორბენაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II, III
11.	ნინო ქიმერიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელი	II, III
12.	ემზარ ჯგერენაია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
13.	მამუკა ნადარეიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	IV
14.	ნინო რჩეულიშვილი		ასისტენტ-პროფესორი	IV

		სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი		
15.	მარიამ დალაქიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი	IV
16.	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
17.	მაკა ლაშხია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	IV
18.	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	IV
19.	გიორგი გვალია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე	IV
20.	ზვიად ზალიკიანი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	IV
21.	სოფიკო ზვიადაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	IV
22.	დავით წასიძე	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V, VI
23.	ელენე ბერიძე	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის მართვის მენეჯერი	V, VI
24.	გიორგი ტომარაძე	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის მართვის სპეციალისტი	V, VI
25.	ბაკურ კვაშილავა	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სამართლის და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი	V, VI
26.	თორნიკე შარაშენიძე	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სამართლის და პოლიტიკის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების	V, VI

			სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი	
27.	ნათია ჭიღვარია	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სადოქტორო პროგრამების ადმინისტრაციული ხელმძღვანელი, პროფესორი	V, VI
28.	გიორგი მარგველაშვილი	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	პროფესორი	V, VI
29.	სალომე ჩხეიძე	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	პროგრამის კოორდინატორი	V, VI
30.	თენგიზ ფხალაძე	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V, VI
31.	ნესტან ციციშვილი	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	V, VI
32.	ხათუნა ბერაია	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	V, VI
33.	თედო სანიკიძე	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაციის მენეჯერი	V, VI
34.	ქეთევან მუხიგული	ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	პოლიტიკის პროგრამის ასოცირებული პროფესორი	V, VI
35.	კახაბერ ლაზარაშვილი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	რექტორის მოვალეობის შემსრულებელი	VII
36.	ზვიად როგავა	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ვიცე რექტორი საგანმნათლებლო პროგრამების განვითარების საკითხებში	VII
37.	დავით ბოსტოღანაშვილი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII
38.	რუსუდან ჩიქოვანი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხში	VII
39.	თეა იმედაძე	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი საერთაშორისო და	VII

			ადმინისტრაციულ საკითხებში	
40.	ზურაბ მხეიძე	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი, ლაბორატორია „Z”-ის ხელმძღვანელი	VII
41.	შალვა მაჭავარიანი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი სამეცნიერო საკითხებში	VII
42.	ეკა ლუაშვილი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	VII
43.	ქეთევან აფთარაშვილი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	VII

აკრედიტაციის ექპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონული საშუალებით მონაწილეობი სშესახებ**	**საკითხი**
1	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნანა ბურდული	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამთა ცხვოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, V, VI
4	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	დავით გეგეჭკორი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
6	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
7	ხვიჩა ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
8	სალომე ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
9	თამარ გვინიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
10	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
11	თამარ ჩარკვიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ანა ჭირაქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
15	ივანნა მაჩიტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
16	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
17	ეკატერინე ფირცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
18	ლაშა ხოჯანაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
19	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
20	თეკლე ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისის თავისუფალი აკადემია, ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46, N1; 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა -გიორგი ღაღანიძემ
საფუძველი - საბჭოს წევრის ოჯახის წევრის შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შეფასება 2021 წლის 4 ნოემბერს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.
ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.
აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველის ტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. გაიზარდოს ორი სავალდებულო კურსის - „კოგნიტური ფსიქოლოგია“ და „სოციალური ფსიქოლოგია“ - მოცულობა და პროგრამაში წარმოდგენილი იყოს, როგორც „კოგნიტური ფსიქოლოგია 1“ და „კოგნიტური ფსიქოლოგია 2“, „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „ სოციალური ფსიქოლოგია 2“.
2. სამი კურსი - ინკლუზიური განათლება, ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები და ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები - გადატანილ იქნეს არჩევით კურსების ჩამონათვალში.

3. გადაიხედოს და განახლდეს პროგრამაში შემავალ კურსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა ისე, რომ არ ხდებოდეს წყაროების დუბლირება სხვადასხვა კურსის ფარგლებში.
4. ზოგიერთ კურსში შეირჩეს თემატურად მეტად შესაბამისი, რელევანტური სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა (იხ. ქვემოთ, „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ კურსთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია).
5. „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“: (ა) შეიცვალოს წარმოდგენილი კურსის სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა და შინაარსობრივად მეტად მოერგოს ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებს; (ბ) შესაბამისად, შეიცვალოს კურსის დასახელება (მაგალითად, „ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები“, ან რაიმე სხვა ალტერნატივა, რომელიც მართებულად ასახავს შინაარსს) და (გ) გაიზარდოს კურსის მოცულობა, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ამა თუ იმ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება მიიღონ და ამ მეთოდის ინსტრუმენტული გამოყენების ბაზისური უნარ-ჩვევა გამოიმუშაონ.
6. „პრაქტიკა“: სილაბუსში კვირების მიხედვით გაიწეროს ის ზოგადი ჩარჩო და საქმიანობების/აქტივობების თანმიმდევრობა, რომლის შესრულებაც მოუწევს სტუდენტს, მაგალითად, რა დრო ეთმობა ობიექტზე ორიენტაციას/გაცნობას, სავარაუდო ამოცანების დასახვასა და გეგმის გაწერას, შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს გადამოწმების ეტაპებსა და პრეზენტაციებს.
7. ონლაინ სწავლებისთვის ისეთი პლატფორმის გამოყენება, რომელიც სასწავლო პროცესის შუფერხებლად განხორციელებას, უწყვეტობას უზრუნველყოფს.
8. ბიუჯეტში აღწერილი შემოსავლის ნაწილში გათვალისწინებული იქნეს შემოსავლის დამატებითი პუნქტები, რაც მნიშვნელოვანია ახალი პროგრამის მდგრადობისთვის, პერსონალისა და სტუდენტების განვითარების ხელშეწყობისთვის.

1. გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
2. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა, რათა პროგრამის მდგრადობას არ შეექმნას საფრთხე მომავალში;
3. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის იმგვარი გადანაწილება პროგრამაში შეთავაზებულ (სავალდებულო) კურსებზე, რომ სპეციალობის მიმართულებით სავალდებულო კურსები (რაც პირდაპირ გადის სწავლის შედეგებზე და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე) უსდ-ის აკადემიურ პერსონალს მიჰყავდეს და არა -- მოწვეულს;
4. შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, ერთი მხრივ, პროგრამაში შეთავაზებული კურსების შინაარსი და, მეორე მხრივ, იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია/ გამოცდილება, რომლის პასუხისმგებლობაც იქნება ამა თუ იმ კონკრეტული კურსის წაყვანა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებს, რაც გათვალისწინებული იქნება პროგრამის განხორციელების ეტაპზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მე-4 სტადნარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე პროგრამას ჰყავს 23 აკადემიური პერონალი, ხოლო 15 მოწვეული, რაც ნიშნავს იმას, რომ

თანაფარდობა საკმაოდ ნორმალურია, თუმცა საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენი პერსონალის ჰყავს დაწესებულებას, რომელიც უშუალოდ დარგის სპეციალისტს წარმოადგენს. გარდა ამისა, დააზუსტა, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავს ინსტიტუცია.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოადგინათ თავიანთი პოზიცია პირველ რჩევასთან დაკავშირებით. ასევე აღსანიშნავია რჩევა ბენჩმარკინგთან დაკავშირებით და მოუწოდა ექსპერტებს მეტი კონკრეტიკისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აკადემიურ პერსონალთან დაკავშრებით განმარტა, რომ რეკომენდაცია გულისხმობდა დარგობრივის პეციალისტების რაოდენობის გაზრდას, ვინაიდან მთლიანობაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა ამ კუთხით ასევე მნიშნელოვანია თუ ვინ კითხულობს საბაზისო და არჩევით საგნებს. ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ საბაზისო საგნებს ძირითადად მოწვეული პერსონალი კითხულობს, რაც გახდა რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რჩევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს მოცემულ რჩევას, გამომდინარე იქედან, რომ თანახელმძღვანელს არ ჰქონდა აკადემიური ხარისხი, ხოლო თავდაპირველად როდესაც პროგრამაზე გამოცხადდა კონკურსი აღნიშნული იყო მხოლოდ აკადემიური ნიშნით და სამწუხაროდ არ იყო გათვალსწინებული პროფესიული ნიშნები. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას არ გაუჭირდება მოცემული რჩევის გათვალისწინება და აუცილებლად მოხდება ხელახალი კონკურსის გამოცხადება.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პროგრამაზე 50 სტუდენტის მიღებას აპირებს. ბიუჯეტიც 50 სტუდენტზე არის წარმოდგენილი.
ბენჩმარკინგთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე მუშაობის დაწყებისთანავე, დაწესებულებამ შეისწავლა როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური ანალოგები, რის შედეგადაც მოხდა დადარება და გამოცდილების გაზიარება პროგრამაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:30
დასრულების დრო: 14:34

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამი სშეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, გაცემული რეკომენდაციები და რჩევები.
დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება.

რეკომენდაციები:
1.რეკომენდებულია გაიზარდოს ორი სავალდებულო კურსის -- „კოგნიტური ფსიქოლოგია“ და „სოციალური ფსიქოლოგია“ მოცულობა და პროგრამაში წარმოდგენილი იყოს, როგორც „კოგნიტური ფსიქოლოგია 1“ და „კოგნიტური ფსიქოლოგია 2“, „სოციალური ფსიქოლოგია 1“ და „ სოციალური ფსიქოლოგია 2“;
2. რეკომენდებულია აღნიშნული სამი კურსი ინკლუზიური განათლება, ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები და ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები გადატანილ იქნეს არჩევით კურსების ჩამონათვალში;

3. გადაიხედოს და განახლდეს პროგრამაში შემავალ კურსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა ისე, რომ არ ხდებოდეს წყაროების დუბლირება სხვადასხვა კურსის ფარგლებში;
4. ზოგიერთ კურსში შეირჩეს თემატურად მეტად შესაბამისი, რელევანტური სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა (იხ. ქვემოთ, „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ კურსთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია);
5. „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“: (ა) შეიცვალოს წარმოდგენილი კურსის სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა და შინაარსობრივად მეტად მოერგოს ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებს; (ბ) შესაბამისად, შეიცვალოს კურსის დასახელება (მაგალითად, „ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები“, ან რაიმე სხვა ალტერნატივა, რომელიც მართებულად ასახავს შინაარსს) და (გ) გაიზარდოს კურსის მოცულობა, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ამა თუ იმ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება მიიღონ და ამ მეთოდის ინსტრუმენტული გამოყენების ბაზისური უნარ-ჩვევა გამოიმუშაონ;
6. „პრაქტიკა“: სილაბუსში კვირების მიხედვით გაიწეროს ის ზოგადი ჩარჩო და საქმიანობების/აქტივობების თანმიმდევრობა, რომლის შესრულებაც მოუწევს სტუდენტს, მაგალითად, რა დრო ეთმობა ობიექტზე ორიენტაციას/გაცნობას, სავარაუდო ამოცანების დასახვასა და გეგმის გაწერას, შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს გადამოწმების ეტაპებსა და პრეზენტაციებს;
7. გაიზარდოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფსიქოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
8. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობა, რათა პროგრამის მდგრადობას არ შეექმნას საფრთხე მომავალში;
9. უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის იმგვარი გადანაწილება პროგრამაში შეთავაზებულ (სავალდებულო) კურსებზე, რომ სპეციალობის მიმართულებით სავალდებულო კურსები (რაც პირდაპირ გადის სწავლის შედეგებზე და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე) უსდ-ის აკადემიურ პერსონალს მიჰყავდეს და არა - მოწვეულს;
10. შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, ერთი მხრივ, პროგრამაში შეთავაზებული კურსების შინაარსი და, მეორე მხრივ, იმ აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია/ გამოცდილება, რომლის პასუხისმგებლობაც იქნება ამა თუ იმ კონკრეტული კურსის წაყვანა;
11. რეკომენდებულია, ონლაინ სწავლებისთვის ისეთი პლატფორმის გამოყენება, რომელიც სასწავლო პროცესის შუფერხებლად განხორციელებას, უწყვეტობას უზრუნველყოფს;
12. რეკომენდებულია, ბიუჯეტში აღწერილი შემოსავლის ნაწილში გათვალისწინებული იქნეს შემოსავლის დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, რაც მნიშვნელოვანია ახალი პროგრამის მდგრადობისთვის, პერსონალისა და სტუდენტების განვითარების ხელშეწყობისთვის.

რჩევები:

- პროგრამის თანახელმძღვანელი, სულ მცირე, უსდ-ის აკადემიური პერსონალი (თუ აფილირებული არა) იყოს;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური ინსტრუმენტების არსებობით და რეალურად ჩაერთოს პროგრამის განვითარებაში, ასევე გაზარდოს ხელშეწყობა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიმართ;
- ანალოგი პროგრამების დადარებისა და გამოცდილების გაზიარების პროცესი იყოს მეტად ფორმალიზებული და მოიცავდეს ინფორმაციას ბენჩმარკის ინდიკატორების და ანალოგიურ პროგრამებთან შესაბამისობის სიღრმისეულ ანალიზს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება N 281
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. №1, № 3, №11, №8, №14, თსუ-ს კორპუსები I, II, III, IV და VI; თბილისი, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს- გიორგი ღაღანიძემ, თეონა მატარაძემ, მარიამ შენგელიამ და ნინო ინასარიძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) „საერთშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) შეფასება განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 25 და 26 ნოემბერს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტებს მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად; ვიზიტამდე ჯგუფის წევრებმა დამატებით განიხილეს ინფორმაცია, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის

შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას.
აღსანიშნავია ასევე პროგრამის საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ, ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ერთიანი საუნივერსიტეტო მიდგომებისა და ხედვების არსებობას, ისე ფაკულტეტების უფლებას მოახდინოს მათი იმპლემენტაცია საკუთარი საჭიროებებისა და პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად აკრედიტაციის პროცესის სიმულაციის დანერგვა.
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია პრაქტიკის გაძლიერება, პროგრამის არჩევითი კომპონენტის სახით გათვალისწინებით და კრედიტის მინიჭებით;

2. რეკომენდებულია უფრო მეტი დარგობრივი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან, პრაქტიკის განსახორციელებლად, სტაჟირების/ პრაქტიკის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა რომ რეკომენდაციებს პროგრამების განმახორციელებელი ჯგუფი არ იზიარებს, რადგან ერთი მხრივ, დარგობრივი მემორანდუმები და ღრმა პარტნიორული ურთიერთობები როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან მათი ფაკულტეტისა და ზოგადად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიაჩნია. გარდა ფორმალიზებული ურთიერთობებისა, რაც შესაბამის დარგობრივ მემორანდუმებსა და შეთანხმებებშია ასახული და წარდგენილ იქნა პროგრამების შეფასების პროცესში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ასევე ჰქონდა შესაძლებლობა პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრის ნაწილში გასაუბრებოდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებთანაც აქტიური და ხანგრძლივი თანამშრომლობა აკავშირებს ორივე პროგრამას. ამ ნაწილში, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას არა რეკომენდაცია, არამედ რჩევა, რაც გამოთქმულია დასკვნაში მოცემული რჩევების ჩამონათვალში, რომ მოხდეს უკვე არსებული თანამშრომლობის ფორმალიზება მთელ რიგ ორგანიზაციებთან, რაც პრაქტიკულად მრავალია წელია უკვე არსებობს. რაც შეეხება პრაქტიკის გაძლიერების მიზნით არჩევითი, კრედიტზე მიბმული კომპონენტის შემოტანას პროგრამებში, ამასთან დაკავშირებით პროგრამების განმახორციელებელი ჯგუფის პოზიცია იგივეა, რაც

შეხვედრების დროს გამოითქვა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამებში პრაქტიკის/სტაჟირების კომპონენტი არ არის ცალკე კრედიტზე მიბმული. ორივე პროგრამის კონცეფცია დაფუძნებულია სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტების „ჩაშენებაზე“, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის ისეთი პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას, რაც დაკავშირებულია პრაქტიკული/სამუშაო დოკუმენტების შემუშავებასთან, პრეზენტაციასა და არგუმენტირებულ დაცვასთან. ამასთან, ორივე პროგრამის განხორციელებისას სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ ძირითადი კურიკულუმის მიღმა პრაქტიკების ან/და სტაჟირების გავლის შესაძლებლობა ინსტიტუციური თანამშრომლობის ფარგლებში, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს სხვადასხვა ორგანიზაციასა და სახელმწიფო სტრუქტურასთან. დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რომ სტუდენტებს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია როგორც ფაკულტეტის, ისე პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან პრაქტიკებისა და სტაჟირებების შესაძლებლობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა თუ არის მემორანდუმებში გათვალისწინებული, დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად გამოკვეთილი პრაქტიკის მიზანი, პრაქტიკის ხანგრძივობა და სტუდენტთა რაოდენობა.
საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებში, პასუხისმგებლობა ავტონომიურობის ნაწილში გაწერილია შემდეგი სწავლის შედეგი- ,,ასახელებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს ‘’. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამდენად არის აღნიშნული პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში ჩასმული. ასევე უნარებში გაწერილია- ,,აკვირდება და აფასებს საერთაშორისო სიტუაციასა და ვითარებას“, აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა მექანიზმებს იყენებს დაწესებულება მოცემული შედეგის დადასტურებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა მემორანდუმთან მიმართებით განმარტა, რომ მასში ასე ცალსახად გაწერილი საკითხები არ არის, მაგრამ პირადი ურთიერთობების საფუძველზე ხდება შეთანხმება, პრაქტიკის ხანგრძლივობასა და სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით. შეთახმების საფუძველზე ერთი თვის განმავლობაში ერთ დაწესბულებაში 3 სტუდენტი გადის პრაქტიკას.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა შედეგებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ თითოეული სასწავლო კურსი იმგვარად არის შედგენილი, რომ მაქსიმალურად იყოს მიახლოებული პრაქტიკულ საქმიანობას და შეფასებაც სწორედ ისე ხდება, რომ სტუდენტმა კურსის გავლის შემდეგ მიიღოს ისეთი ცოდნა, რომელსაც გამოიყენებს პრაქტიკაში. გარდა ამისა, სილაბუსებში არის ჩადებული პრეზენტაციები, სადაც ლექტორი მოითხოვს, რომ საერთაშორისო დონეზე მიმდინარე კონკრეტულ მოვლენებზე სტუდენტებს ჰქონდეთ თავიანთი მსჯელობა და ესა თუ ის პრობლემა განიხილონ აუდიტორიებში. უნივერსიტეტი კი აფასებს დაკვირვების შედეგებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 16:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.2 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს ქვეკომპონენტი შეფასდა

როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა არ შეცვლილა პირველი სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2.4 ქვეკომპონენტის პირველი რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში, მეორე რეკომენდაციას შეეცვალა ფორმულირება, თუმცა აღნიშნულის შედეგად არ შეცვლილა მეორე სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამის მე-6 სწავლის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსები პროგრამის კურიკულუმის რუკაში;
2. რეკომენდებულია, დარგობრივი მემორანდუმენში დაკონკრეტდეს პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა.

რჩევები:

- მიზანშეწონილია პოტენციურ დამსაქმებლების ფართო სპექტრთან (როგროც საჯარო ისე არასამთავრობო და საერთაშორის ორგანიზაციებთან), კომუნიკაციის სტრუქტურირებული მექანიზმის შექმნა, ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში რეგულარული კომუნიკაცია;
- მიზანშეწონილია პოტენციურ დამსაქმებლების ფართო სპექტრთან (როგროც საჯარო ისე არასამთავრობო და საერთაშორის ორგანიზაციებთან), კომუნიკაციის სტრუქტურირებული მექანიზმის შექმნა, ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში რეგულარული კომუნიკაცია;
- დარგის და შრომის ბაზრის საჭიროებების ფართო სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პრაქტიკული და ვერბალური უნარებით სტუდენტების აღჭურვა და ამ კომპონენტების გასაძლიერებლად შესაბამისი ქმედებების განხორციელება, მათი სასწავლო პროგრამაში ინტეგრირების და თანამედროვე მეთოდების გამოყენების გზით;
- მიზანშეწონილია ისეთ უნარების გაძლიერება, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, დებატები და ამ პროცესში სტუდენტებისთვის თანაბარი შესაძლებლობის შექმნა მცირე სადისკუსიო ჯგუფების შექმნით. ასევე, სტუდენტების ტრანსფერული უნარების გაძლიერება;
- მიზანშეწონილია დამსაქმებლების და კარიერული ცენტრის ინტენსიური თანამშრომლობა და კარიერული სამსახურის მიერ ონრგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის და საინფორმაციო შეხვედრების ორაგნაიზება;
- მიზანშეწონილია დამსაქმებლების და კარიერული ცენტრის ინტენსიური თანამშრომლობა და კარიერული სამსახურის მიერ ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის და საინფორმაციო შეხვედრების ორგანანიზება;

- მიზანშეწონილია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები ისეთი ფორმით იყოს ჩამოყალიბებული, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს პროგრამების თანხვედრას/განსხვავებას და დადარების შედეგებს, რაც შექმნის პროგრამაში ეტაპობრივად განხორციელებული ცვლილებების შესწავლის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მესამე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.07.2012 გადაწყვეტილება N 264
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის 8, 14, თბილისი, კორპუსი VI, IV, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - გიორგი ღაღანიძემ, თეონა მატარაძემ, მარიამ შენგელიამ და ნინო ინასარიძემ.
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) შეფასება განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 25 და 26 ნოემბერს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტებს მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად; ვიზიტამდე ჯგუფის წევრებმა დამატებით განიხილეს ინფორმაცია, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას.
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტი გაძლიერება, არჩევითი კომპონენტის სახით და კრედიტიების მინიჭება
2.უფრო მეტი დარგობრივი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან, პრაქტიკის განსახორციელებლად, სტაჟირების/პრაქტიკის შესაძლებლბოის გაზრდის მიზნით;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციებს პროგრამების განმახორციელებელი ჯგუფი არ იზიარებს, რადგან ერთი მხრივ, დარგობრივი მემორანდუმები და ღრმა პარტნიორული ურთიერთობები როგორც სახელმწიფო სტრუქტურებთან, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან მათი ფაკულტეტისა და ზოგადად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიაჩნია. გარდა ფორმალიზებული ურთიერთობებისა, რაც შესაბამის დარგობრივ მემორანდუმებსა და შეთანხმებებშია ასახული და წარდგენილ იქნა პროგრამების შეფასების პროცესში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ასევე ჰქონდა შესაძლებლობა პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრის ნაწილში გასაუბრებოდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებთანაც აქტიური და ხანგრძლივი თანამშრომლობა აკავშირებს ორივე პროგრამას. ამ ნაწილში, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას არა რეკომენდაცია, არამედ რჩევა, რაც გამოთქმულია დასკვნაში მოცემული რჩევების ჩამონათვალში, რომ მოხდეს უკვე არსებული თანამშრომლობის ფორმალიზება მთელ რიგ ორგანიზაციებთან, რაც პრაქტიკულად მრავალი წელია უკვე არსებობს. რაც შეეხება პრაქტიკის გაძლიერების მიზნით არჩევითი, კრედიტზე მიბმული კომპონენტის შემოტანას პროგრამებში, ამასთან დაკავშირებით პროგრამების განმახორციელებელი ჯგუფის პოზიცია იგივეა, რაც შეხვედრების დროს გამოითქვა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამებში პრაქტიკის/სტაჟირების კომპონენტი არ არის ცალკე კრედიტზე მიბმული. ორივე პროგრამის კონცეფცია დაფუძნებულია სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტების „ჩაშენებაზე“, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის ისეთი პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას, რაც დაკავშირებულია პრაქტიკული/სამუშაო დოკუმენტების შემუშავებასთან, პრეზენტაციასა და არგუმენტირებულ დაცვასთან. ამასთან, ორივე პროგრამის განხორციელებისას სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ ძირითადი კურიკულუმის მიღმა პრაქტიკების ან/და სტაჟირების გავლის შესაძლებლობა ინსტიტუციური თანამშრომლობის ფარგლებში, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს სხვადასხვა ორგანიზაციასა და სახელმწიფო

სტრუქტურასთან. დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რომ სტუდენტებს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია როგორც ფაკულტეტის, ისე პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან პრაქტიკებისა და სტაჟირებების შესაძლებლობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამაში მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, სადაც განსაზღვრულია მინიმალური ზღვრები და შეფასების კომპონენტები, თუმცა ჩანაწერი იმგვარად არის მოცემული რომ რეცენზენტისა და კომისიის მიერ შეფასება სხვადასხვა პროცესში ხდება. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. გარდა ამისა F და FX ერთად არის მოცემული, რაც სავარაუდოდ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ შედეგების გაზომვასთან დაკავშირებით საბაკალავრო პროგრამაში ფორმულირებები საკმაოდ კარგად იყო უზრუნველყოფილი, თუმცა სამაგისტრო პროგრამაში ფორმულირებები არ არის სრული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსები საკმაოდ საინტერესო თემატიკით არის წარმოდგენილი და სწავლის შედეგები სრულად არის გაწერილი, აქცენტი გადატანილია კრიტიკულ აზროვნებასა და უნარების განვითარებაზე. თუმცა ზოგიერთ სილაბუსში შეფასების ფორმატში ლექციაზე დასწრება ფასდება ქულით. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, თუ რიგ სასწავლო კურსებთან მიმართებოთ დასწრების კომპონენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია და ის ქულობრივად საჭიროებს შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა დასწრების კომპონენტთან დაკავშირებით განმარტა რომ ყველა სილაბუსში მოცემულია დასწრება/აქტიურობა ერთად, თუ სადმე მხოლოდ დასწრება არის განსაზღვრული, აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, მხოლოდ დასწრება არ ნიშნავს არაფერს, სტუდენტი მონაწილოებას უნდა იღებდეს ლექციის დროს გამართულ დისკუსიებსა და სხვადასხვა სახის განხილვაში, შესაბამისად მოცემული კომპონენტი შეფასებაში გათვალისწინებულია.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესს, პრაქტკაში ხდება შემდეგნაირად, როდესაც მაგისტრანტი აბარებს ნაშრომს და ის გაივლის შემოწმებას პლაგიატზე, შემდგომ ამ ნაშრომზე თავის პოზიციას წარმოადგენს ხელმძღვანელი, რომელმაც ასევე უნდა დაწეროს შეფასება 20 ქულის ფარგლებში და რეცენზენტი, რომელიც აფასებს ნაშრომს 40 ქულის ფარგლებში. თუ შეფასება დადებითია, მაშინ სტუდენტი გადის დაცვაზე, ხოლო თუ არ არის დადებითი არსებული წესების მიხედვით, სტუდენტს კვლავ შეუძლია დაცვაზე გასვლა, თუმცა შედეგი უარყოფითი იქნება. პროცედურულად, ჯერ რეცენზენტი და ნაშრომის ხელმძღვანელი აფასებს ნაშრომს, ხოლო შემდგომ ხდება მისი დაცვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შეფასებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამაგისტო ნაშრომის ფასდება ერთიანად, თუმცა მოიცავს გარკვეულ კომპონენტებს. რეცენზენტის, ხელმძღვანელისა და დაცვის კომისიის მიერ ფასდება უკვე დასრულებული ნაშრომი, საუბარია არა მრავალჯერად, არამედ მრავალკომპონენტიან შეფასებაზე, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ დააკორექტიროს არსებული ჩანაწერი, რათა გარე პირისთვის მეტად გასაგები და ნათელი იყოს ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურა. რაც შეეხება F/FX შეფასებას, აღნიშნული კი წარმოადგენს ზოგად რეგულაციას და არ არის კონკრეტულად ერთი პროგრამის პრობლემა. ინსტიტუციას სჭირდება გარკვეული დრო, რომ დოკუმენტი სრულად, შესწორებებით ჩამოყალიბდეს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არსად არ იკითხება, რომ ნაშრომის შეფასება არის ერთჯერადი, შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერი აუცილებლდ საჭიროებს ცვლილებასა და დაზუსტებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეალურად რეცენზენტი შეფასებას წარადგენს დაცვს დღეს. კომისიისა და რეცენზენტის უწყისები განსხვავებულია და მოიცავს სხვადახვა კომპონენტს. მიუხედავად ამისა, დაწესებულება იზიარებს იმას, რომ ჩანაწერი არის ბუნდოვანი და საჭიროებს დაზუსტებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 16:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.2 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა არ შეცვლილა პირველი სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 2.3 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, 2.4 ქვეკომპონენტის პირველი რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში, ხოლო მეორეს რეკომენდაციას შეეცვალა ფორმულირება, 2.6 ქვეკომპონენტში დაემატა ორი რეკომენდაცია, შედეგად მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 5.1 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა არ შეცვლილა მე-5 სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
3. რეკომენდებულია, დარგობრივ მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკის მიზანი, ხანგრძივობა და სტუდენტთა რაოდენობა;
4. რეკომენდირებულია, რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს დასწრების კომპონენტის შეფასების რელევანტურობა;
5. რეკომენდირებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესში სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ერთჯერადობა; განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; გასწორდეს ჩანაწერი F/FX შეფასებასთან დაკავშირებით;
6. რეკომენდებულია, შიდა ხარისხის მექანიზმების ამოქმედება/გააქტიურება პირველ და მეორე სტანდარტთან მიმართებით.

რჩევები:

- პოტენციურ დამსაქმებლების ფართო სპექტრთან (როგროც საჯარო ისე არასამთავრობო და საერთაშორის ორგანიზაციებთან), კომუნიკაციის სტრუქტურირებული მექანიზმის შექმნა, ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში რეგულარული კომუნიკაცია;
- სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტი გაძლიერება, არჩევითი კომპონენტის სახით;

- დარგის და შრომის ბაზრის საჭიროებების ფართო სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პრაქტიკული და ვერბალური უნარებით სტუდენტების აღჭურვა და ამ კომპონენტების გასაძლიერებლად შესაბამისი ქმედებების განხორციელება, მათი სასწავლო პროგრამაში ინტეგრირების და თანამედროვე მეთოდების გამოყენების გზით;
- ისეთი უნარების გაძლიერება, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება და ვერბალური უნარები;
- სასურველია გაღრმავდეს დამსაქმებლების და კარიერულ ცენტრს შორის არსებული თანამშრომლობა და კარიერული სამსახურის მიერ სტუდენტებისთვის ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;
- მიზანშეწონილია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები ისეთი ფორმით იყოს ჩამოყალიბებული, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს პროგრამების თანხვედრას/განსხვავებას და დადარების შედეგებს, რაც შექმნის პროგრამაში ეტაპობრივად განხორციელებული ცვლილებების შესწავლის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30.09.2011 გადაწყვეტილება N 89

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 - სოციოლოგია და კულტურის კვლევები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32 თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ელენე ჟურავლოვამ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათ იპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პანდემიიდან გამომდინარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება შედგა დისტანციური ფორმატით, ელექტრონული პლატფორმის (Zoom) გამოყენებით 18 ნოემბერს. სააკრედიტაციო ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე დავალებები. დაიგეგმა დისტანციური წინამოსამზადებელი შეხვედრა. წინამოსამზადებელ შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაცვალეს წინასწარი მიგნებები წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, შეაჯერეს პრობლემური საკითხები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები. შეთანხმდა სააკრედიტაციო

ვიზიტის განრიგი. დისტანციური შეხვედრა შედგა დღის წესრიგით დაცვით. შეხვედრები მიმდინარეობდა და მოიცავდა პროგრამის შემუშავებაში ჩართული სხვადასხვა მონაწილეების ინტერვიუირებას. უნივერსიტეტის მხრიდან კომისიის მუშაობისათვის სათანადო პირობები იყო უზრუნველყოფილი. აკრედიტაციის კომისია მუშაობდა კოლეგიალურ, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ და კეთილგანწყობილ გარემოში. შეხვედრის მონაწილეები გულწრფელად გამოთქვამდნენ და უზიარებდნენ კომისიის წევრებს მოსაზრებებს. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ეძლეოდათ მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის საფუძველზე წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და გარკვეული ცვლილებების ანგარიში იმ რეკომენდაციების ფარგლებში, რომელთაც ეთანხმება. რეკომენდაციების ნაწილზე, რომელთაც დაწესებულება არ ეთანხმება, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია.

მნიშვნელოვანია, რომ მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშრებით, ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული მიგნება ეფუძნებოდა იმას, რომ აკადემიური წერის სილაბუსის მე-5 გვერდზე აშკარად არის სწავლის შედეგების ექვს კომპონენტიანი სქემა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ახალი წესის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა ამ რეკომენდაციას და ჩათვალა ის უნივერსიტეტის მიერ დაშვებულ ტექნიკურ უზუსტობად, რომელიც ადვილად აღმოფხვრადია. მის გასწორებას არც დიდი მუშაობა სჭირდება. ამასთან, უნივერსიტეტი თავისსავე პასუხში გარკვეულწილად ადასტურებს იმას, რომ სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს სამ კომპონენტს („ცოდნა-გაცნობიერება“, უნარები“ და „ავტონომიურობა-პასუხისმგებლობა“). ამიტომ ექსპერტებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ეს რეკომენდაცია რჩევათა ჩამონათვალში გადასულიყო.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, კვლევის მეთოდებისა და კვლევითი პროექტების სილაბუსებში აისახოს ყველა ის მეთოდი თუ ტექნიკა, რომელიც ისწავლება კურსების ფარგლები და მოგვიანებით, გამოიყენება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსები წარმოდგენილი იყოს მეტნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომით. კერძოდ, შესაძლებელია მეტი სიცხადისთვის ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა), ასევე, სილაბუსით ნათლად ჩანდეს თითოეული აქტივობა კვირების მიხედვით. აქვე, მიზანშეწონილია, სილაბუსებში აისახოს სალექციო თემები სავალდებულო ლიტერატურის გვერდების რაოდენობის მითითებით;
3. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში შეფასების სისტემა, ასევე, ნაშრომის წარდგენა-დაცვის საკითხები დარეგულირდეს კანონმდებლობის შესაბამისად;

4. რეკომენდებულია, სილაბუსებში საკვანძო საკითხების შესახებ მეტი სიცხადე იყოს შეტანილი და უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ასეთი სასწავლო კურსების პრაქტიკაში სათანადო შესრულებაზე მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ აკადემიურ წერასთან დაკავშრებით განმარტა, რომ სამუშაო ჯგუფმა გადაამოწმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილ სააკრედიტაციო მასალებში ჩადებული აკადემიური წერის კურსის სილაბუსი. მასში არ ფიქსირდება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შეუსაბამობა. კერძოდ, აკადემიური წერის კურსში სწავლის შედეგები და კომპეტენციები დაყოფილია დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებად და თითოეული მოიცავს „ცოდნა-გაცნობიერების“, „უნარისა“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ კომპონენტებს. ამდენად, პროგრამის სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ გამოთქმული რეკომენდაცია შეიცავს ტექნიკურ უზუსტობას.

რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, სასწავლო კურსების სილაბუსებში - „კვლევითი პროექტი სოციოლოგიაში 1“ და „კვლევითი პროექტი სოციოლოგიაში 2“ აღნიშნულია, რომ სტუდენტები ორი სემესტრის განმავლობაში შეისწავლიან თვისებრივი/რაოდენობრივი კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა იმ მეთოდს თუ მიდგომას, რომლებიც აუცილებელია მათი კვლევის ჩასატარებლად. სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სამუშაო ჯგუფი კვლევის მეთოდების სწავლებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლის შედეგს და არ იზიარებს მოსაზრებას, რომ მეთოდების სწავლება სამაგისტრო საფეხურზე აუცილებლად სტანდარტიზებული მიდგომით უნდა ხორციელდებოდეს. აკრედიტაციის ექსპერტები დასკვნის პროექტში თავად აღნიშნავენ, რომ სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების კვლევითი ნაშრომები ადასტურებენ სხვადასხვა მეთოდის ცოდნასა და მათი გამოყენების უნარს. ამდენად, სამუშაო ჯგუფი არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი წარმოდგენილია მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ფორმით, რასაც უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სილაბუსის ფორმა/ინსტრუქცია. საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაციაში შემოთავაზებული ფორმით თემებისა და თემატიკის განაწილება ძალზედ სუბიექტურია. გარდა ამისა, სილაბუსებში ლიტერატურის გვერდების მითითება განიხილება სწავლებაში ჩართული პერსონალის აკადემიური თავისუფლების ნაწილად და არ წარმოადგენს აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელ პირობას. ამდენად, სამუშაო ჯგუფი არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას და მიიჩნევს, რომ ის შეიძლება იყოს მხოლოდ რჩევითი ხასიათის.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ნამდვილად ერთჯერადია და ის არ ეწინააღმდეგება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას. ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ განხორციელებული შეფასებები ერთჯერადი შეფასების შემადგენელი ნაწილებია, რომლითაც უზრუნველყოფილია სტუდენტის მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის სხვადასხვა კომპონენტის შეფასება. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის FX-ით შეფასებას, დასკვნის პროექტში მითითებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-19 პუნქტი არ გამორიცხავს ისეთ შემთხვევებს, როცა სამაგისტრო ნაშრომში შეიძლება გამოვლინდეს ხარვეზი, რომელიც გამოსწორებადია სასწავლო სემესტრის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, დაცვის კომისია იღებს

გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის იმავე სემესტრში დაცვის შესახებ. ხოლო, თუკი ნაშრომი საჭიროებს უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს, კომისია იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ სემესტრში მისი წარდგენის და დაცვის შესახებ.
მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს როგორც ტრადიციულ სალექციო-სასემინარო სწავლების ფორმატს, ასევე პროექტებზე დაფუძნებულ (ე.წ. Result-ის ფორმატის) კურსებს. კურსების სილაბუსებში ასახულია კურსების დიზაინის სპეციფიკა, რაც წარმოადგენს აკადემიური თავისუფლების ნაწილს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი სისტემური და კომპლექსური შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების მიხედვით, კურსების ეფექტურობის შეფასება ეყრდნობა როგორც სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს (რომელშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ინდიკატორი, მათ შორის სწავლების პროცესის თანმიმდევრობა, მასალების ხელმისაწვდომობა, დატვირთვა და ა.შ.), ასევე მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ მონიტორინგს. შესაბამისად მივიჩნევთ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება ატარებდეს მხოლოდ რჩევით ხასიათს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში თვალშისაცემია განსხვავება ნაშრომში ლიტერატურის განსაზღვრის კუთხით. გარდა ამისა, დამსაქმებელთა კვლევის ფარგლებში, მოცემულია ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელიც იძლევა დამსაქმებელთა წარმოდგენას პროგრამაზე. აღნიშნული არ წარმოადგენს დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს. აღნიშნული დოკუმენტიდან ნაწილობრივ შესაძლებელია გარკვეული ინფორმაციის მიღება, თუმცა მაინც საჭიროა სრულფასოვანი კვლევის ჩატარება. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში, სავალდებულო და სავალებულო არჩევით სასწავლო კურსებში არ არის მოცემული არც ერთი ეკონომიკური დისციპლინა. შესაბამისად, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ კვლევის მეთოდების კურსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდები ისწავლება ერთ სასწავლო კურსში, რაც შეეხება პრაქტიკის ნაწილს, აღნიშნული მოიცავს პრაქტიკულ უნარებს, კონსულტაციებს, რომელიც მოიცავს ლექციას (4სთ) ზოგადი შესავლის კუთხით. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად არის დაფარული ერთი კურსის ფარგლებში სოციოლოგური მეთოდების სრული სპექტრი. გარდა ამისა, ერთ-ერთი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო დოქტორანტი, შესაბამისად, საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა უფრო მეტად არის კონცენტრირებული რელიგიის საკითხებზე და სოციოლოგიის თანამედროვე აქტუალური საკითხები არჩევითი სასწავლო კურსების სახითაც არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა 2.3 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია და დააზუსტა თუ რამდენად სავალდებულოა მაგისტრატურის დონეზე გვერდების მითითება და უნა იყოს თუ არა აღნიშნული საკითხი განსაზღვრული რეკომენდაციის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ აღნიშნა, რომ კურსის ,,ძალაუფლების სოციოლოგიური თეორიები“ სილაბუსით გათვალისწინებულია 40-მდე სავალდებულო ლიტერატურა. აქედან 20-ზე მეტს სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მოცულობა არ აქვს მითითებული. შესაბამისად, იგრძნობა, ერთი მხრივ, სავალდებულო ლიტერატურის რეალისტურ რაოდენობამდე შემცირებისა და ზოგიერთი ნაშრომის დამატებით ლიტერატურაში გადანაწილების, მეორე მხრივ, სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მოცულობის

მითითების საჭიროება. დაახლოებით ანალოგიური სურათია საგნის „სივრცე, მატერიალურობა და აფექტი“ სილაბუსში. აქ ჩამოთვლილია 20-მდე ლიტერატურა, რომლის მხოლოდ ოთხ-ხუთ ნაშრომს უწერია გვერდები. ასევე, საგნის „ყოველდღიური ანთროპოლოგია“ სილაბუსი ითვალისწინებს 30-მდე ძირითად ლიტერატურას, რომელთაგან ნაწილს აქვს გვერდები მითითებული, ნაწილს - არა. შესაბამისად, აუცილებელი იყო სხვა ნაშრომების გვერდების მითითებაც. ამასთან, „სივრცე, მატერიალურობა და აფექტი“ საგნის სილაბუსის ბოლო გვერდი ეძღვნება განსახილველი თემების ჩამონათვალს, თუმცა არაა გათვალისწინებული აქტივობები კონკრეტული კვირების მიხედვით. ამისგან განსხვავებული სურათი გვხვდება აკადემიური წერის სასწავლო კურსის სილაბუსში. სახელდობრ, ის მთლიანობაში შეიცავს დეტალურ ინფორმაციას სალექციო თემის შესახებ, ასევე, ამ სილაბუსში გვხვდება სალექციო საკითხის ფარგლებში განსახილველი პრობლემებიც და მითითებულია აქტივობებიც კვირების მიხედვით. კარგი იქნება, აღნიშნული მიმართულებით სხვა სასწავლო კურსების სილაბუსებიც გადაიხედოს. ჩანს სასწავლო კურსების მიმართ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენების მიზანშეწონილობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გამოიყენა ორი სხვადსხვა მიდგომა, ერთი იყო ტრადიციული ფოკუს ჯგუფი, სადაც წარმოდგენილი იყო 9 ორგანიზაცია. რაც შეეხება რაოდენობრივ ნაწილს, ამ შემთხვევაში დაწესებულებას ჰქონდა შესაძლებლობა გაეკეთებინა რაოდენობრივი კითხვარი, რომელიც 100-მდე რესპოდენტს გაეგზავნა და დაახლოებით 20 პასუხი იქნა მიღებული ზოგადად მოთხოვნებისა და კომპეტენციების ნაწილში. თუმცა რა თქმა უნდა შესაძლებელია მეტი კვლევის განხორციელება, რაც ასევე მუდმივი და საჭირო პროცესია დაწესებულებისთვის.

რაც შეეხება ნაშრომის ხელმძღვანელობის საკითხს, დაწესებულება იძლევა შესაძლებლობას, რომ დოქტორანტებმა არა მხოლოდ წაიკითხონ ლექციები, არამედ უხელმძღვანელონ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს, რაც არის მნიშვნელოვანი ბმა სადოქტორო და სხვა საფეხურებს შორის. აღნიშნული აქტივობა დოქტორანტებს ეთვლებათ ასისტირების კრედიტებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ეკონომიკურ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალსწინებულია პოლიტიკური ეკონომიკა, თუმცა დაწესებულება იზიარებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამაში მოცემული უნდა იყოს ეკონომიკის მეტი სასწავლო კურსი.

რაც შეეხება პროგრამის მიმართულებას, საბჭოს წევრის მიერ სწორად იყო აღნიშნული საკითხი განსაზღვრული, დაწესებულებას აქვს რელიგიური კვლევები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს და პროგრამისა და დაწესებულების იდენტობასთან არის კავშირში. გარდა ამისა სოციოლოგიის თანამედროვე და აქტუალური საკითხების დამატების კუთხით დაწესებულება აქტიურად მუშაობს.

მნიშვნელოვანია ასევე კვლევის მეთოდების საკითხი, კერძოდ პროგრამის მიხედვით პირველი რამდენიმე კვირა მოიცავს კვლევის დიზაინის შესწავლას, რომლის დროსაც განსაზღვრულია ასევე რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის რამდენიმე დიზაინი. რაც შეეხება დანარჩენ კვირებს, განხილულია რეაქტიული და არარექატიული კვლევის ტიპები. შესაბამისად, მუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ არის განსაზღვრული არარეაქტიული კვლევის ფარგლებში გათვალისწინებულია ექსპერიმენტები და ექსპერიმენტები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა ასევე დააზუსტა, იძლევა თუ არა პროგრამაში ფორმულირებული სწავლის შედეგები გაზომვადობის შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამ მიმართულებით ექსპერტებს კითხვები არ გაჩენიათ და არ ყოფილა აღნიშვნის საგანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები არის სრულიად გაზომვადი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:10
დასრულების დრო: 15:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა არ შეცვლილა პირველი სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 2.3 ქვეკომპონენტის რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 2.4 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა არ შეცვლილა მეორე სტანდარტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 3.2 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა არ შეცვლილა მესამე სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 5.3 ქვეკომპონენტის პირველი რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" და აღნიშნულის შედეგად არ შეცვლილა მე-5 სტანდარტის შეფასება. საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
2. რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან /პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებება ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს/ებს, პრაქტიკის ხანგძლივობას და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
3. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში შეფასების სისტემა, ასევე, ნაშრომის წარდგენა-დაცვის საკითხები დარეგულირდეს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა.

რჩევები:

- სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
- სასურველია, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ზეპირი ფორმატის დახვეწის თვალსაზრისით გამოთქმული მზაობის იმპლემენტაცია და აპლიკანტთა წინარე ცოდნის შესამოწმდებლად შესაბამისი საკითხებისა და ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე აპლიკანტთა დროული ინფორმირებისთვის;
- სასურველია, რიგ სასწავლო კურსებში დაზუსტდეს წინაპირობები;
- სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს შემდეგი საკითხების სწავლება: მონაცემთა წყაროები („ტრადიციული და ალტერნატიული მონაცემთა წყაროები მოსახლეობის განვითარების შესწავლისათვის"), მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, სტრატიფიკაცია („სოციალური სტრატიფიკაცია");
- სასურველია, არჩევითი საგნების ჩამონათვალში სტუდენტებისთვის, გარდა „პოლიტიკური ეკონომიკისა", ასევე შეთავაზებული იყოს ეკონომიკაზე ფოკუსირებული სხვა კურსები;

- სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს დარგობრივი სოციოლოგიის საკთხების სწავლება;
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსები წარმოდგენილი იყოს მეტნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომით. კერძოდ, შესაძლებელია მეტი სიცხადისთვის ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა), ასევე, სილაბუსით ნათლად ჩანდეს თითოეული აქტივობა კვირების მიხედვით. აქვე, მიზანშეწონილია, სილაბუსებში აისახოს სალექციო თემები სავალდებულო ლიტერატურის მითითებით;
- სასურველია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურა შეივსოს უახლესი და სფეროში აღიარებული ნაშრომებით;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია უფრო ნათლად და მკვეთრად ასახავდეს სამაგისტრო საფეხურისთვის შესატყვის მიზანს;
- კარგი იქნება, რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით (გონებრივი იერიში, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა;
- სასურველია, უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სამეცნიერო პროექტების შიდა დაფინანსების მექანიზმების პროცედურული ნაწილი;
- კარგი იქნება, გარე ექსპერტის რეკომენდაციები უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული პროგრამის განვითარებისთვის;
- სასურველია სილაბუსებში საკვანძო საკითხების შესახებ მეტი სიცხადე იყოს შეტანილი და უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ასეთი სასწავლო კურსების პრაქტიკაში სათანადო შესრულებაზე მონიტორინგი;
- სასურველია, უფრო მეტად იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლების ჩართვა პროგრამის შემუშავებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეხუთე საკითხი : ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.01. 2018 გადაწყვეტილება N 18
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გორგასლის 101ა, ქ. თბილისი, 0114, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - თეონა მატარაძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომაკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა ონლაინ რეჟიმში ამა წლის 28-29 ოქტომბერს. დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად, ინტერვიუები განხორციელდა უნივერსიტეტისა და სკოლის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტისა და სკოლის ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან, უსდ-ს კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის კოორდინატორთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა ზოგადი ინფრასტრუქტურისა და საბიბლიოთეკო რესურსების დათვალიერება. ონლაინ ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში.
ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“.
2. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო კურსები „პოლიტიკის თეორია“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“ სავალდებულო სასწავლო კურსების სახით.
3. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კვირეების რაოდენობა, ფინალური გამოცდებისთვის გამოყოფილი საათები. აღნიშნული ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და დათვლადი.
4. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსის სასწავლო კურსების შედეგების გადახედვა/რეფორმულირება სასწავლო კურსების შედეგების გაზომვადობითვის.
5. რეკომენდებულია, განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსებში „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „შედარებითი პოლიტიკა“.

6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „პოლიტიკის თეორია“ „პოლიტიკური ფილოსოფია/პოლიტიკური აზრის ისტორია“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“ განხილულ იქნას როგორც სფეროს მაკვალიფიცირებელი სასწავლო კურსების ერთობლიობა და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების განახლებისა და ახალი სასწავლო კურსების შექმნის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული კურსების შინაარსობრივი გამიჯვნა და ერთმანეთთან ბმა (წინაპირობად განსაზღვრა, სემესტრული გადანაწილება).
7. რეკომენდებულია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები სასწავლო კურსებში „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა“, „საქართველოს ეკონომიკა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“, „საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები“, „მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“.
8. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს სემინარზე დასწრების კომპონენტი.
9. რეკომენდებულია, ფინანსური მდგრადობის დასადგენად პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული სტუდენტთა მინიმალური საჭირო რაოდენობა (Break-even) გამოთვლილი იქნას პროგრამის აქტიური სტატუსით სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე. პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია 72 სტუდენტის შემთხვევაში, თუმცა, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აქტიური სტატუსი მქონე სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 43-ს.
10. რეკომენდებულია, ხარისხის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, რათა რეალურად იყოს ორიენტირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე და პროგრამის განვითარების გზების დასახვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც დარგობრივი სასწავლო კურსი - „პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია“ წარმოდგენილია 6 კრედიტიანი (150 საათი) საგნით, რომელიც ფარავს ერთი მხრივ, ანტიკურობიდან ახალ დრომდე პოლიტიკურ თეორიებს, პლატონისა და არისტოტელეს პოლიტიკურ შეხედულებებს; ციცერონის პოლიტიკურ ფილოსოფიას, შუა საუკუნეების მოაზროვნეების - ნეტარი ავგუსტინეს, ალ ფარაბის, თომა აქვინელის - პოლიტიკურ თეორიებს; ნიკოლო მაკიაველის პოლიტიკური და ადამიანური მორალის დეფინიციის საკითხებს, ხოლო მეორე მხრივ, მოიცავს პოლიტიკური თეორიების შედარებით ანალიზს, რათა სტუდენტებმა შეიმუშაონ საკუთარი განსხვავებული შეხედულება და დაიცვან იგი არგუმენტირებულად, შესაბამისად, სასწავლო კურსის გაყოფის/დამატების საჭიროებას არ ვიზიარებთ. მსგავსი არგუმენტი, ასევე განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების განცალკევებულად სწავლების პრაქტიკა ლექტორის გამოცდილებით ნაკლებად ეფექტურია. სწორედ ამ მიზეზით, სასწავლო კურსები „პოლიტიკის თეორია“ და „პოლიტიკის ფილოსოფია“ გაერთიანებული სახით ისწავლება პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამავე რეკომენდაციის თანახმად, პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო კურსის სახით უნდა დაემატოს „პოლიტიკური იდეოლოგიები“. აღნიშნულის გათვალისწინება დაწესებულებას არ მიაჩნია მიზანშეწონილად, რამდენადაც პოლიტიკური იდეოლოგიები გადანაწილებულია ისეთ სასწავლო კურსებში,

როგორებიცაა „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“ და „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“. შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ მეორე რეკომენდაციაში წარმოდგენილ მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგრამა იმთავითვე აკმაყოფილებს.
რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, რომ აღნიშნული სასწავლო კურსები „პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“ და „შედარებითი პოლიტიკა“ ფარავს მთავარ პოლიტიკურ თეორიებსა და იდეოლოგიებს და სემესტრული გადანაწილება განსაზღვრულია იმგვარად, რომ სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესი და მისი მიზანი მეტად გასაგები და მკაფიო იყოს. როგორც მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის (საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი) მეორე რეკომენდაციის განმარტებაშია წარმოდგენილი, რეკომენდაციის გათვალისწინების საჭიროებას დაწესებულება ნაკლებად ხედავს, რადგან რეკომენდაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროგრამა იმთავითვე აკმაყოფილებს.
მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს სტუდენტების ლექცია/სემინარებზე დასწრების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს სასწავლო კომპონენტების არანაკლებ ორ მესამედზე დასწრების ვალდებულებას, თუმცა აქვე უნდა განვმარტოთ, რომ დასწრება არ წარმოადგენს შეფასების საფუძველს. წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში გათვალისწინებულია მონაწილეობა/აქტიურობა, რაც გულისხმობს ბაკალავრების ჩართულობას სასწავლო პროცესის აქტივობებში.
რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, ამჟამად პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე 72 სტუდენტი ირიცხება. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას პირველი კურსდამთავრებულები ეყოლება 2022 წლის გაზაფხულზე. დაწესებულებამ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, მათ შორის ბიუჯეტის წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განხორციელდა 2021 წლის 13 აგვისტოს, როდესაც უნივერსიტეტს ე.წ. აბიტურიენტთა შემოხაზვებზე დაკვირვების შედეგად, შესაძლებლობა ჰქონდა განესაზღვრა 2021 წლის სექტემბერში მისაღებ სტუდენტთა ჯამური რაოდენობა, რომელმაც როგორც ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული, შეადგინა 30 სტუდენტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილია 2021-2022 და შემდგომი წლების გათვალისწინებით. აღნიშნული მოლოდინისა და გარემოებიდან გამომდინარე, ბიუჯეტში ე.წ. Break Even გამოთვლილია ოთხივე კურსის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით (72 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი).
მნიშვნელოვანია ასევე მე-10 რეკომენდაცია, კერძოდ უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შემდგომი განვითარების პროცესში აქტიურად მონაწილეობს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გარდა ფორმალური მექანიზმების არსებობისა, რომელიც ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების/გაუმჯობესების პროცესში, ასევე პერიოდულად ახორციელებს აკადემიურ პერსონალთან, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ შეხვედრებს, რა პროცესშიც განიხილება საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ძლიერი და გასაუმჯობესებელი საკითხები, მათ შორის კურიკულუმში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები და სხვა. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმებით მიღებული ინფორმაციისა და აკადემიური პერსონალის ხედვების გაზიარების საფუძველზე, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და სრულყოფის გზების დასახვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ საწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა, წარმოდგენილია ნარდობის ხელშეკრულება, თუმცა აუცილებელია ინსტიტუციას წარმოდგენილი ჰქონდეს როგორც შრომის ბაზრის, ასევე დასაქმებელთა კმაყოფილების კვლევა. ამ ეტაპზე დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დამსაქმებელთან შეხვედრს დოკუმენტი, შესაბამისად, მოუწოდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პროგრამაში წარმოდგენილია ორი ეკონომიკური საგანი, სადაც ორივეგან არის ლიტერატურაში ,,მენქიეუ" მითითებული.
პროგრამაში ასევე გათვალისწინებეულია სასწავლო კურსი ,,პოლიტიკური მარკეტინგის სტრატეგია", თუმცა ის დაინტერესდა ელემენტარული მარკეტინგის კურსის გარეშე რამდენად შესაძლებლია გაცილებით უფრო რთული სასწავლო კურსის დაძლევა.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ისაუბრა რეკომენდაციაზე სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზის გასწორებასთან დაკავშირებით და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ. გარდა ამისა, აღნიშნა რჩევა ინგლისური ენის დონეების გადანაწილებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ერთ სემესტრში ერთი დონე და მისი სწავლის შედეგები ვერ იქნება მიღწეული. ამასთან პროგრამა იძლევა შესაძლებლობას რომ პირველივე კურსზე სტუდენტს შესთავაზოს advanced დონე. აქედან გამომდინარე, რამდენად რელევანტურია ბაკალავრის პირველ კურსზე advanced დონე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომები. მაგალითად, სასწავლო კურსის „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა" მიზნებში ხაზგასმულია სისტემური და სიღრმისეული ცოდნა, რაც არ შეესაბამება საბაკალავრო დონეს. ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული ხარვეზი ტექნიკურ და არაარსობრივ შეცდომად მიაჩნია, რადგან თავად სილაბუსი შინაარსობრივად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. სასწავლო კურსში „საქართველოს ეკონომიკა" I-II კვირის სალექციო თემები და მითითებული ლიტერატურის გვერდები (ჯამში 3 საკონტაქტო საათი) იდენტურია, III-IV სალექციო კვირებში კი სავალდებულო ლიტერატურაში მხოლოდ ერთი გვერდია მითითებული. სასწავლო კურსში „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში" VIII-IX-X თემები იდენტურია. ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ორი სახელმძღვანელო, რომელიც თემატურად ვერ ფარავს კვირების მიხედვით გაწერილ თემებს, თუმცა კვირების მიხედვით გაწერილია სხვა ლიტერატურა, რომელიც შესაბამისია წარმოდგენილ თემებთან. სასწავლო კურსის „საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები" წინაპირობად მითითებულია 5 სასწავლო კურსი სხვა კურიკულუმიდან, ხოლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში აღნიშნულ სასწავლო კურსს არ აქვს წინაპირობა. სავალდებულო საგნის „მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები" სილაბუსში შეფასების კომპონენტის ნაწილში, ქულათა პროცენტული გადანაწილება ჯამში 110%-ია, ხოლო სასწავლო კურსში „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია", ქულათა ჯამი 108%-ია. რეკომენდებულია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები სასწავლო კურსებში „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა", „საქართველოს ეკონომიკა", „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში", „საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები", „მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები", „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ყოველწიურად ახორციელებს შეხვედრებს დამსაქმებლებთან და მუდმივად ითვალისწინებს მათ რჩევებსა და რეკომენდაციებს. აქედან გამომდინარე, კომპონენტი რასაც აკრედიტაციის სტანდარტი უყენებს ინსტიტუციებს პროგრამის განვითარების ნაწილში, დაწესებულება სრულიად აკმაყოფილებს და ითვალისწინებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი პირდაპირ აწესებს რომ უნდა იყოს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.
რაც შეეხება პოლიტიკური მარკეტინგის საკითხს, სასწავლო კურსი ახალი დანერგილია, შესაბამისად დაწესებულება მიიჩნევს რომ საბაზისო მარკეტინგის სასწავლო კურსის გარეშე სავსებით შესაძლებელია მოცემული საგნის დაძლევა.
მნიშვნელოვანია ასევე ინგლისურის საკითხი, კერძოდ მიღება ხდება ტესტირების საფუძველზე და თავიდანვე შეიძლება იყოს განსხვავებული დონეები. რაც შეეხება advanced დონის შეთავაზებას, სავსებით შესაძლებელია სტუდენტმა აჩვენოს ინგლისურის ისეთი დონე, რომ მისთვის B2 არ იყოს საკმარისი. არიან ასევე სტუდენტები, რომლებსაც TOEFEL-ის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი მოაქვთ რაც ასევე წარმოადგენს advanced დონეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:02
დასრულების დრო: 19:26

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.3 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაციები, თუმცა არ შეცვლილა მე-2 სტანდარტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 4.4 ქვეკომპონენტის რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 5.1 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, თუმცა არ შეცვლილა მე-5 სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა", „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში" წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში";
2. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს „პოლიტიკის თეორიის", „პოლიტიკური იდეოლოგიების" საკითხები;
3. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კვირეების რაოდენობა, ფინალური გამოცდებისთვის გამოყოფილი საათები. აღნიშნული ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და დათვლადი;
4. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსის სასწავლო კურსების შედეგების გადახედვა/რეფორმულირება სასწავლო კურსების შედეგების გაზომვადობითვის;
5. რეკომენდებულია, განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსებში „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა", „შედარებითი პოლიტიკა";
6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „პოლიტიკის თეორია" „პოლიტიკური ფილოსოფია/პოლიტიკური აზრის ისტორია", „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში", „პოლიტიკური იდეოლოგიები", „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია" განხილულ იქნას როგორც სფეროს მაკვალიფიცირებელი სასწავლო კურსების ერთობლიობა და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების განახლებისა და ახალი სასწავლო კურსების შექმნის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული კურსების შინაარსობრივი გამიჯვნა და ერთმანეთთან ბმა (წინაპირობად განსაზღვრა, სემესტრული გადანაწილება);
7. რეკომენდირებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ პოლიტიკური მარკეტინგის სტრატეგიები" წინაპირობა კურსის შინაარსის გათვალისწინებით;

8. რეკომენდებულია, გადაიხედოს და ჩასწორდეს ინგლისური ენის სწავლების შეთავაზების ლოგიკური ჩარჩო და თანმიმდევრობა როგორც დონეების მიხედვით, საკონტაქტო საათების რაოდენობით, ისე სემესტრულ გადანაწილებასთან მიმართებით სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით;
9. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს სემინარზე დასწრების კომპონენტი;
10. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

- სასურველია, დასკვნითი სასწავლო პროექტების პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ, უსდ-მ განაახლოს სწავლის შედეგების რუკის დასკვნითი სასწავლო პროექტის შედეგებთან შესაბამისობა;
- სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
- სასურველია, პროგრამის სტრუქტურა (სავალდებულო/არჩევითი/თავისუფალი არჩევითი კომპონენტების შეჯამებული კრედიტები) უფრო ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამის აღწერილობით ნაწილსა და თვითშეფასების დოკუმენტში;
- სასურველია, ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსების (დონეების მიხედვით) შეთავაზების ლოგიკა და პოლიტიკა ნათლად ჩანდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში;
- სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები სავალდებულო ნაწილის მოცულობის შესამცირებლად და არჩევითი/თავისუფალი არჩევითი კურსების კრედიტების გასაზრდელად პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურღვევობის გათვალისწინებით;
- სასურველია, გადაიხედოს უნიფიცირებული კრედიტები არჩევით სასწავლო კურსებთან მიმართებით;
- სასურველია ეკონომიკური ბლოკის სასწავლო კურსებში (ეკონომიკის შესავალი, საჯარო სექტორის ეკონომიკა და ბიუჯეტირების საკითხები) გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურა/გადაფარვები;
- სასურველია, განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსების „პოლიტიკური ფსიქოლოგია“, „შესავალი ეროვნულ უსაფრთხოებაში“, „ევროკავშირის პოლიტიკა“ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ნაწილში;
- სასურველია, გაიზარდოს აკადემიური წერის კრედიტების მოცულობა 5 ან 6 კრედიტამდე;
- სასურველია, აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსი ითვალისწინებდეს დასკვნითი სასწავლო პროექტის კვლევის დიზაინს;
- სასურველია, სილაბუსის შინაარსში დაემატოს კვლევის რაოდენობით მეთოდებთან დაკავშირებული მასალა;
- სასურველია, დასკვნითი სასწავლო პროექტის სტრუქტურის ნაწილის მოთხოვნებში ჩანაწერის სახით აღინიშნოს საკვლევი საკითხის თეორიასთან მიმართების აუცილებლობა;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში ჩართულობის შესახებ;
- სასურველია ფინანსური მდგრადობის დასადგენად პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული სტუდენტთა მინიმალური საჭირო რაოდენობა (Break-even) გამოთვლილი იქნას პროგრამის აქტიური სტატუსით სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე. პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია 72 სტუდენტის შემთხვევაში, თუმცა, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აქტიური სტატუსი მქონე სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 43-ს;

- ები პროგრამის განვითარებისთვის: · სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება სილაბუსების ფორმირებასა და აუცილებელ ელემენტებთან მიმართებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეექვსე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	იეთიმ გურჯის ქ. N9; თბილისი, 0105, საქართველო; გორგასლის ქ. N101; თბილისი, 0114, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - თეონა მატარაძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა ონლაინ რეჟიმში ამა წლის 28-29 ოქტომბერს. დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად, ინტერვიუები განხორციელდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, უსდ-ს კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის დოქტორანტების და ახალი პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებთან, მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებთან, მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა ზოგადი ინფრასტრუქტურისა და საბიბლიოთეკო რესურსების დათვალიერება, მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის დისერტაციების გაცნობა. ონლაინ ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში
ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „კვლევა და სამეცნიერო წერა“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი“ გახდეს პოლიტიკის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმზე მორგებული.
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „სადოქტორო სემინარი I“ სილაბუსების შედეგების პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ნაწილების ფორმულირება გახდეს სწავლების დონისა და თავად აღნიშნული სილაბუსების შინაარსების შესატყვისი.
3. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში საკონტაქტო საათების რაოდენობა კომპონენტების მიხედვით და სასწავლო კვირეების რაოდენობა იყოს მკაფიო, დათვლადი და უსდ რეგულაციებთან შესაბამისი.
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „სავალდებულო სადოქტორო სემინარი I“ და „არჩევითი სადოქტორო სემინარი II“ დაზუსტდეს სწავლება-სწავლის მეთოდები სწავლის შედეგების მიღწევადობისა და გაზომვადობისთვის.
5. რეკომენდებულია, სილაბუსებში აქცენტი გაკეთდეს სადოქტორო საფეხურის მოთხვონების შესაბამის და რეფლექსიის, კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ისეთ სწავლა-სწავლების მეთოდებზე, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიშის ტექნიკა და სხვ.
6. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს უშუალოდ სემინარზე დასწრების კომპონენტი.
7. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ შემოიფარგლოს ფორმალური მექანიზმების არსებობით და აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ 2.2. ქვესტანდარტში არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ გარე ექსპერტები, როგორც დარგობრივი, ასევე უმაღლესი განათლების მიმართულებით. პროგრამის სტრუქტურაზე მუშაობის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა პროგრამის სასწავლო კურსების საკრედიტო/საათობრივი დატვირთვის განსაზღვრა. გარე ექსპერტებისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მხრიდან მიღებული რჩევის გათვალისწინებით, გადაწყდა ერთი მოცულობითი (8 კრედიტი) სავალდებულო დარგობრივი სალექციო კურსის შემუშავება. მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, ასევე ეყრდნობოდა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში

სადოქტორო საფეხურის პროგრამებთან მიმართებაში გავრცელებულ პრაქტიკას, რაც სასწავლო კომპონენტში გამსხვილებულ საკრედიტო დატვირთვას გულისხმობს. გარდა ამისა, შინაარსობრივი თვალსაზრისით ინსტიტუციამ განმარტა, რომ აღნიშნულ რვა კრედიტიან სასწავლო კურსში, „პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები“ წარმოდგენილია პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი ქვედარგებისთვის შესაბამისი თემები (საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, შედარებითი პოლიტიკის საკითხები, პოლიტიკური ეკონომიკა, პოლიტიკური ფილოსოფიის ელემენტები) დარგში არსებული თანამედროვე მიდგომებისა და მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიის საფუძველზე, რომლის ორ ოთხკრედიტიან სალექციო კურსად გაყოფა ხელოვნური ხასიათის მატარებელი იქნება. დაწესებულება თვლის, რომ სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით კურსში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტები სრულად უზრუნველყოფს დარგობრივი კომპეტენციების დაუფლებას.

რაც შეეხება რეკომენდაციებს სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, წარმოდგენილ სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იქნება ექსპერტთა მხრიდან დაფიქსირებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზები. აგრეთვე, გადაიხედება სასწავლო კურსების, „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „სადოქტორო სემინარი I“ სწავლის შედეგების ფორმულირება და მოერგება სასწავლო კურსების შინაარსს.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია პროგრამის აღწერილობაში. მიუხედავად ამისა, ითვალისწინებენ რეკომენდაციას, რომლის საფუძველზე აღნიშნულ სილაბუსში დაზუსტდება სწავლება-სწავლის მეთოდების აღწერა.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, უნივერსიტეტს სტუდენტების ლექცია/სემინარებზე დასწრების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს სასწავლო კომპონენტების არანაკლებ ორ მესამედზე დასწრების ვალდებულებას, თუმცა აქვე უნდა განიმარტა რომ დასწრება არ წარმოადგენს შეფასების საფუძველს. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში გათვალისწინებულია მონაწილეობა/აქტიურობა, რაც გულისხმობს დოქტორანტების დისკუსიებში ჩართულობას, ჯგუფურ მუშაობას, მაგალითების დემონსტრირებას, კითხვა-პასუხის რეჟიმში მუშაობას, საკლასო მუშაობის დროს აკადემიური ჩანაწერების გაკეთებას, სიმულაციებში მონაწილეობას, საერთო ცოდნის შექმნისთვის აქტიურობას და სხვა.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შემდგომი განვითარების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად მუშაობს საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული მიმართულებით ტარდება შესაბამისი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები. თუმცა, ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულ რამდენიმე ახალ აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში, ეს პრაქტიკა გაცილებით ინტენსიურ რეჟიმში იქნება უზრუნველყოფილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:02 სთ
დასრულების დრო: 19:26 სთ

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 5.1 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, თუმცა არ შეცვლილა მე-5 სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „კვლევა და სამეცნიერო წერა" და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი" გახდეს პოლიტიკის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმზე მორგებული;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „თვისებრივი კვლევის მეთოდები" და „სადოქტორო სემინარი I" სილაბუსების შედეგების პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ნაწილების ფორმულირება გახდეს სწავლების დონისა და თავად აღნიშნული სილაბუსების შინაარსების შესატყვისი;
3. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში საკონტაქტო საათების რაოდენობა კომპონენტების მიხედვით და სასწავლო კვირეების რაოდენობა იყოს მკაფიო, დათვლადი და უსდ რეგულაციებთან შესაბამისი;
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „სავალდებულო სადოქტორო სემინარი I" და „არჩევითი სადოქტორო სემინარი II" დაზუსტდეს სწავლება-სწავლის მეთოდები სწავლის შედეგების მიღწევადობისა და გაზომვადობისთვის;
5. რეკომენდებულია, სილაბუსებში აქცენტი გაკეთდეს სადოქტორო საფეხურის მოთხვონების შესაბამის და რეფლექსიის, კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ისეთ სწავლა-სწავლების მეთოდებზე, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიშის ტექნიკა და სხვ.;
6. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს უშუალოდ სემინარზე დასწრების კომპონენტი;
7. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

- სასურველია, პროგრამის შედეგების ფორმულირება გახდეს მკაფიო სწავლების დონის შესაბამისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით;
- სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში 8 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები" გაიყოს ორ ნაწილად და პროგრამის სტრუქტურას დაემატოს ერთი სასწავლო კურსი;
- სადოქტორო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების კონტინგენტიდან გამომდინარე, სასურველია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში ამ გარემოების გათვალისწინება, რათა მოხდეს დოქტორანტების კვლევითი უნარების განვითარების ადეკვატური უზრუნველყოფა;
- სასურველია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში ჩართულობის შესახებ;
- სასურველია, შემდეგი აკადემიური წლების ბიუჯეტის დაგეგმვის დროს დაზუსტდეს მისაღები სტუდენტების რაოდენობის რეალურ მონაცემებზე დაფუძნებით;
- სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება სილაბუსებისა და სილაბუსის სხვადასხვა კომპონენტების ფორმირების საკითხებზე, მათ შორის კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო

პროგრამისათვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

19:30 სთ-ზე საბჭოს სდომა დატოვა - გაიანე სიმონიამ და მაკა კაჭარავამ.

მეშვიდე საკითხი : შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	შატილის ქ. N4; ქ.თბილისი, 0178, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს - გიორგი ღაღანიძემ და ეკატერინე ნაცვლიშვილმა
საფუძველი - პროექტების ფარგლებში თანამშრომლობა და შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნიევრსიტეტში ფსიქოლოგიის პროგრამის - აკრედიტაციის ვიზიტისთვის ექსპერტთა ჯგუფმა მზადება დაიწყო უსდ-ს მიერ მომზადენული მასალებისა და დოკუმენტაციების ჯეროვანი გაცნობით. მიგნებებისა და შეფასებების ურთიერთგაზიარების, ღია კითხვებზე მოსაზრებების გაცვლისა და შეჯერების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა დაგეგმა ვიზიტის წინამოსამზადებელი შეხვედრა. შეხვედრამ ხელი შეუწყო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვიურების პროცესის ეფექტურ წარმართვას ჯგუფის მხრიდან. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი აღმოსავლეთ ევროპის უნივერისტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასებისთვის განხორციელდა 2021 წლის 5 ნოემბერს - დისტანციურად - zoom ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.
ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფი განსაზღვრული თანმიმდევრობით შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მიმდინარე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და ელექტრონული ბაზა. აკრედიტაციის ვიზიტის ონალაინ ფორმატიდან გამომდინარე საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის დათვალიერებაც განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში. შეხვედრებზე ინტერვიუების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საკითხებს, რომელიც დამატებით განმარტებებსა და დაზუსტებას მოითხოვდა ექსპერტების ხელთ არსებული პროგრამის ყველა დოკუმენტის გაცნობის მიუხედავად. გარდა ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციისა, ექსპერტთა

ჯგუფმა პროგრამის ხელმძღვანელებისგან ასევე გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები მიგნებების დროს გაჩენილი საკითხების დასაზუსტებლად. ინტერვიუს პროცესში ყურადღება გამახვილდა პროგრამის მიზნებსა და შინაარსზე, პროგრამის კურიკულუმზე, ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ მექანიზმებზე, სილაბუსებზე და ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა -მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ფორმულირებული მიზნებში გაწერილი ცალკეული პუნქტები ასახული იყოს პროგრამის შედეგებშიც.
2. რეკომედებულია კველვითი უნარების ჩამოყალიბებისათვის და ფსიქოლოგიის მიმართულებების მიხედვით აკადემიური ცოდნის სიღრმისეული მიღებისთვის გაძლიერდეს შესაბამისი კურსების სწავლება(პიროვნების, სოციალური ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების კურსები)
3. რეკომენდირებულია, პროგრამის სტრუქტურამ ასახოს პროგრამის მიზნის ცალკეული კომპონენტები.
4. რეკომედებულია კველვითი უნარების ჩამოყალიბებისათვის და ფსიქოლოგიის მიმართულებების მიხედვით აკადემიური ცოდნის სიღრმისეული მიღებისთვის გაძლიერდეს შესაბამისი კურსების სწავლება(პიროვნების, სოციალური ფსიქოლოგიის და ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდების კურსები
5. რეკომენდებულია სავალდებულო საგნები ქმნიდეს საფუძველს არჩევითი საგნებისთვის, კერძოდ, ფსიქოდიაგნოსტიკა უფრო ძირითადი კურსია ვიდრე კლინიკური ფსიქოლოგიის და ფსიქოკონსულტირების საფუძვლები, რომლებიც შესაძლებელია გადავიდეს არჩევით საგნებში.
6. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ზოგიერთი სასწავლო კურსი მოითხოვს ჩაღრმავებას და თემატიკის გაფართოვებას, შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები ცალკეულ კურსებთან მიმართებაში:
7. რეკომედებულია ექსპერიმეტული ფსიქოლოგიის კურსის უფრო ღრმად შესწავალა , ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 1 და 2 სახით;
8. სოციალური ფსიქოლოგიის, როგორც საფუძვლის, უფრო ღრმად შესწავლა სოციალური ფსიქოლია 1 და 2 სახით;
9. ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები, რეკომენდებულია წარმოდგენილი იყოს ორ სემესტრიანი კურსით (თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები).
10. სასწავლო მასალარეკომენდებულია განახლდეს და გამოყენებულ იქნას თანამედროვე ლიტერატურა. რეკომენდებულია სილაბუსებში სავალდებულო და დამატებითი მასალა მითებული იყოს წყაროების ციტირებისა და მოტანის დადგენილ წესს (APA სტანდარტი სოციალურ მეცნიერებებში,)

11. რეკომენდებულია გაიწეროს ცალკეულ სასაწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდების დისციპლინის სპეციფიკიდან გამომიდნარე,
12. რეკომენდებულია, ფსიქოლოგიისათვის საჭირო ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი დისციპლინებს(ფსიქოლოგიის საფუძვლები, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტური ფსიქოლოგია და ა.შ) სრულად კურირებდეს (ან ნაწილობრივ სალექციო-სასემინარო საათების დაყოფის გზით) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები;
13. რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ლაბორატორია Z-ის“ აქტიობებში.
14. რეკომენდირებულია რომ პროგრამის აკადემიურ/აფილირებული პერსონალი წარმოდგენილი იყოს და სავალდებულო კურსების მართვის პროცესში
15. რეკომედებულია პროგრამაში ჩართულ აკადემიური პერსონალს ჰქონდეს მეტად დასაბუთებადი, კვლევითი გამოცდილება და პუბლიკაციები როგორც ადგილობრივ ისე უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტი ვერ გაიზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, მისი დაუსაბუთებლობის გამო: პროგრამის ცალკეული შედეგები აკრედიტაციის სტანდარტებთან თავსებადობის შეფასებისას კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული მხოლოდ იმ ფაქტზე აპელირებით, რომ კონკრეტული საგნები ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლება, აცდენილია აკრედიტაციის მიზნებს. სემესტრების რაოდენობის გაზრდა არ არის სწავლა-სწავლების სტრატეგიის ეფექტიანი მიდგომა. შედეგის მისაღწევად სასწავლო კურსის შემუშავებისას უნივერისტეტი იყენებს საერთაშორისო და ადგილობრივ გარე მარეგულირებელ ჩარჩოს, სადაც ყურადღება გამახვილებულია სასწავლო კურსის კრედიტის მოცულობაზე, სწავლა-სწავლების სტრატეგიებზე, თემატიკასა და ლიტერატურაზე, და არა სემესტრების რაოდენობაზე. ამდენად, წარმოდგენილი ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, იგი ასახულია თავად პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზეც, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია და სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის 1.2. სტანდარტის შეფასების კრიტერიუმთან.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დასახელებული რეკომენდაცია, გარდა იმისა რომ დასკვნაში ორჯერ არის წარმოდგენილი, არ არის თავსებადი 1.2. სტანდარტის შეფასების კრიტერიუმებთან, ამდენად იგი ამოღებული უნდა იქნას საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტები პროგრამის სტრუქტურის შეფასებისას აპელირებენ ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დაფიქსირებული შემდეგი მოსაზრებით - ,,პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამის ფოკუსი ექსპერიმენტზეა და არსებული რესურსების, კერძოდ უნივერსიტეტში შექმნილი ექსპერიმენტული ლაბორატორიის გამოყენებაზეა დაფუძნებული“ და სამწუხაროდ, მხოლოდ ამ მოსაზრებაზე დაფუძნებით აკეთებენ საბოლოო დასკვნებს პროგრამის სტრუქტურის შესახებ. თუმცა, რეალურად არც პროგრამაში და არც პროგრამის თვითშეფასებაზე თანდართულ არცერთ დოკუმენტში მსგავსი განაცხადი იმის შესახებ, რომ პროგრამა მხოლოდ ,,ექსპერიმენტზეა ფოკუსირებული“ არ ფიქსირდება. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გამომდინარე აქედან, ცხადია, რომ ექსპერტების მიერ 2.2. კომპონენტის საბოლოო შეფასება წინააღმდეგობრივია თავისი შინაარსით და ეწინააღმდეგება თავად ექსპერტების მიერ 2.2. კომპონენტის საწყის შეფასებას.

რაც შეეხება რიდერების საკითხს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კლინიკური ფსიქოლოგია ორი დარგის, მედიცინის და ფსიქოლოგიის მიჯნაზეა შექმნილი, შესაბამისად, ლიტერატურაც იყოფა ორი მიმართულებით, ლიტერატურის უმრავლესობა მეტად ეყრდნობა სამედიცინო სფეროს, მწირია კლინიკური ფსიქოლოგიის შესავალი კურსისთვის საჭირო ფსიქოლოგიურ გამოცდილებაზე დაფუძნებული ლიტერატურა. მაგალითისთვის, მოვიყვანთ სილაბუსით გათვალისწინებულ რამდენიმე საკითხს: ექიმ-პაციენტის ურთიერთობის ფორმები; იდეალური ექიმი; იდეალური პაციენტი. პაციენტზე ზემოქმედების ფორმები და ასე შემდეგ, ახლო პერიოდის თანამედროვე კლინიკური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში არ მოიძიება. ამდენად, მითითებულ რიდერში წარმოდგენილი 1995 წელს გამოქვეყნებული ლიტერატურა ეხმიანება სწორედ ფსიქოლოგიურ ბაზისზე შექმნილ კლინიკური ფსიქოლოგიის მოდელს. ამავდროულად, გარდა ზემოთ აღნიშნული ლიტერატურისა, სილაბუსში ასევე, მითითებულია 2010 წლის რედაქციით გამოცემული ძირითადი ლიტერატურა და პერიოდულად განახლებადი ონლაინ რესურსები.

მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ მოცემული რეკომენდაცია არ ასახავს, არც პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და არც აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებულ ყველა ლიტერატურას (სავალდებულო, დამატებითი) გარკვევით აქვს მითითებული სასწავლო მასალის დასახელება (სათაური), ავტორი და გამოცემის წლები, რაც სრულად აკმაყოფილებს აკრედიტაციის EEU-არგუმენტირებული პოზიცია 7 სტანდარტის მოთხოვნებს. ასევე, APA სტილის დაცვით სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურის მითითება არ არის აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნა. ამასთან, განმარტების სახით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ ტერმინთა განმარტებაში მუხლი 2, პუნქტი ჰ-23 სასწავლო კურსის სილაბუსი განმარტებულია შემდეგნაირად: სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ. გამომდინარე აქედან, ცხადია, რომ სილაბუსი არ არის სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომი და, შესაბამისად, დაუშვებელია სილაბუსში დირექტიულად იქნეს მოთხოვნილი სამეცნიერო/აკადემიურ ნაშრომში გამოყენებულ წყაროთა მონაცემების (ციტირების) APA სტილის გამოყენება კურსის შესწავლისათვის საჭირო ლიტერატურის მითითებისას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ვერანაირად ვერ იქნება გათვალისწინებული.

რაც შეეხება მე-12 რეკომენდაციას, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ექსპერტები თავად ადასტურებენ სასწავლო კურსებისა და სწავლება-სწავლის მეთოდების სრულ შესაბამისობას აკრედიტაციის მე-2 სტანდარტის 2.5. კომპონენტის მოთხოვნებთან. რაც შეეხება ექსპერტთა მსჯელობას ზოგიერთ კურსში სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისად გაწერის შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ ბუნდოვანია თავად ჩანაწერი „დისციპლინების მთავარი კომპონენტი პრაქტიკული მუშაობაა.“ მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძანებით №3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. ბრძანების თანახმადაც, ლექცია, სემინარი სასწავლო კურსის განხორციელების მიზნებისათვის, ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის ფარგლებში, სასწავლო კურსის განმახორციელებელი უფლებამოსილია, გამოიყენოს მისთვის შესაბამისი შეფასების ფორმა, მათ შორის, პრაქტიკული დავალების შესრულება. გამომდინარე აქედან, ვერ იქნება ექსპერტთა რეკომენდაცია გაზიარებული, რადგან მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდებით სრულფასოვნად უზრუნველყოფილია სასემინარო მუშაობის ფარგლებში პრაქტიკულ დავალებებზე მუშაობა, თუკი იგი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციებზე დაწესებულებამ განმარტა, რომ დასახელებული რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ ვერ იქნება გაზიარებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოების გამო: 1. ექსპერტები აპელირებენ აფილირებული და არააფილირებული პერსონალის ბალანსზე, მაშინ როდესაც აკრედიტაციის სტანდარტის თანახმად, 4.1. კომპონენტის ერთადერთი მოთხოვნა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან მიმართებით არის შემდეგი: „აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას“. ფსიქოლოგიის პროგრამა წარმოდგენილია 22 აკადემიური და 17 მოწვეული პერსონალის სახით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის შიდა სტანდარტის მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის არანაკლებ 50 პროცენტი უნდა იყოს აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, სრულად არის დაცული როგორც აკრედიტაციის 4.1. კომპონენტი, ასევე, უნივერისიტეტის შიდა სტანდარტი. შესაბამისად, ექსპერტთა მსჯელობა ამ ნაწილში სცდება აკრედიტაციის სტანდარტებს, რაც ცხადია, ვერ იქნება გაზიარებული. 2. როგორც დასკვნის პროექტის ციტირებისას ვნახეთ, თავად ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კანონმდებლობასთან თავსებადია, თუმცა „აკადემიური ხარისხები ფსიქოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაწილობრივ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.“ აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელი და ძალიან ზოგადი ხასიათისაა ან, სავარაუდოდ, ტექნიკური ხარვეზით არის გამოწვეული. 3. დასკვნის პროექტში ვკითხულობთ, რომ „პროგრამის აკადემიური პერსონალი გამოწვევაა“... უნივერსიტეტი მოცემულ მსჯელობას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან ფსიქოლოგიის პროგრამა არის ახალი, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, შესაბამისად, უნივერისტეტმა საწყის ეტაპზე უზრუნველყო იმ რაოდენობისა და ხარისხის აკადემიური პერსონალის რეკრუტირება, რომელიც თავსებადია აკრედიტაციის სტანდარტებთან. უნივერსიტეტის მირ ზემოთ წარმოდგენილი დასაბუთებული არგუმენტები ცხადყოფს, რომ აღნიშნული რეკომენდაციები არ არის თავსებადი ან აკრედიტაციის სტანდარტებთან ან ფაქტობრივ გარემოებებთან, რაც, შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული უნივერისტეტის მიერ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს უნივერისტეტის გუნდის იმედგაცრუება იმ ფაქტის გამო, რომ „ლაბორატორია Z“, რომელიც დასკვნის დასაწყისში საუკეთესო პრაქტიკად არის დასახელებული, დასკვნის მომდევნო ნაწილებში იქცა არა თუ პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ ლაიტმოტივად. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ნაწილზე მსჯელობისას „ლაბორატორია Z“ დასახლებული იყო გამორჩეულ შესაძლებლობად, ხოლო ექსპერტებმა განსაზღვრეს რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტმა ჩართოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ლაბორატორიის საქმიანობაში. ამასთან, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დასახელებული რეკომენდაცია განსაზღვრულია მე-4 სტანდარტის 4.1. კომპონენტის შეფასების მიზნებისთვის, თუმცა ვერ დგინდება, რა კავშირი აქვს რეკომენდაციის შინაარსს მოცემული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებთან.

რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, უნივერსიტეტისათვის უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის მოთხოვნა, მაშინ, როდესაც ფაკულტეტის ბიუჯეტში ცხადად არის გაწერილი ამ პროგრამის მხარდაჭერა, ვერ იქნება გაზიარებული უნივერსიტეტის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა APA სტილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს იმგვარად, რომ დაინტერესებულმა ადამიანმა ცალსახად და მარტივად მოახდინოს იდენტიფიცირება თუ რა ლიტერატურაზეა საუბარი. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამ განაპირობა აღნიშნული საკითხის დასმა.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ კვლევის მეთოდების სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსით მასში აღნიშნული უნარები ვერ იქნება უზრუნველყოფილი, მაგალითად ექსპერიმენტის დაფარვა ერთი ლექციის ფარგლებშ შეუძლებელია, გარდა ამისა მთელი სილაბუსი ძირითადად თეორიული საკითხებით არის აგებული. აღსანიშნავია ასევე, რომ ხშირ შემთხვევაში თემატიკა და მითიტებული ლიტერატურა არ შეესაბამება ერთამენთს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელემა განმარტა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს და ითვალისწინებს კანონმდბელობასა და სტანდარტის მოთხოვნებს. სილაბუსი სრულიად იძლევა იმის საშუალებას, რომ დაინტერესებულმა ადამიანმა ცალსახად და მარტივად მოახდინოს იდენტიფიცირება თუ რა ლიტერატურაზეა საუბარი. აქედან გამომდინარე, დაწესებულება მოსაზრებას არ იზიარებს.
ექსპერტმა APA სტილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რიგი კურსების სილაბუსებში არასრულად არის მითითებული ესა თუ ის გამოცემა, რაც, ერთი მხრივ, პრობლემას შეიძლება უქმნიდეს სტუდენტს წყაროს მოძებნის შემთხვევაში და, მეორე მხრივ, არღვევს წყაროების ციტირებისა და მოტანის დადგენილ წესს (APA), რაც არასახარბიელო მაგალითს აძლევს სტუდენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, აკადემიური წერისა და სხვა კურსების ფარგლებში უნდა ითვისებდნენ, იმტკიცებდნენ და იცავდნენ წერის სტანდარტებს. იგულისხმება, რომ როცა პროფესორის მიერ ციტირებულია წყარო, ეს უნდა იყოს წყარო მოქმედი, მისაღებია ვებ-გვერდიც, მაგრამ ამ ვებ-გვერდზე რისი ნახვა არის შესაძლებელი, ციტირების დადგენილი წესით უნდა იყოს მითითებული და არა მხოლოდ ბმულები. APA არ არის ვალდებულება და ლიტერატურა სხვა სტილითაც შეიძლება იყოს მითითებული, თუმცა არ არის გამართებული ლინკების მითითება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს მე-3 რეკომენდაციის დაზუსტებისკენ. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა 4.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაციები და დააზუსტა, ხომ არ არის რეკომენდაციებს შორის გადაფარვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში პროგრამის მიზანია, რომ კურსდამთავრებული იყოს კვალიფიციური ცოდნის მქონე მთელ რიგ ჩამონათალში, თუმცა ამ მიზნის ასახვა პროგრამაში არ არის მოცემული, რაც გახდა აღნიშნული რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველი.
რაც შეეხება 4.1 კომპონენტს, წარმოდგენილ პროგრამას ახორციელებს, ფსიქოლოგიის მიმართულებით 7 აფილირებული (მათ შორის, 1 ასოცირებული პროფესორი და 6 ასისტენტ-პროფესორი) და 6 არააფილირებული (მათ შორის, 3 პროფესორი და 2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი). პროგრამის გაცნობის საფუძველზე ჩანს, რომ აფილირებულ პროფესურას აქვს ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის სტატუსი, როდესაც არააფილირებული აკადემიური პერსონალი გვხვდება პროფესორის სტატუსით (3 პროფესორი). გარდა დასახელებული აკადემიური პერსონალისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არის 16 მოწვეული პედაგოგი, რომელთაც აქვთ სათანადო პრაქტიკული გამოცდილება, სასწავლო თემატიკის მიმართულებით. არსებული ბალანსი აფილირებულ და არააფილირებულ პერსონალს შორის არამყარია, რადგანაც დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონენი პროგრამაზე წარმოდგენილნი არიან არააფილირებული პერსონალის სახით და ამავდროულად, ეს უკანასკნელნი, იკავებენ პროფესორის აკადემიურ პოზიციას, როდესაც აფილირებული პერსონალი გვხვდება ასისტენტ ან ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ძირითადი რესურსის ავტობიოგრაფიათა ნაწილში არ არის წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამადასტურებელი ინფორმაცია (გამოქვეყნებები და ა.შ), ასევე რიგ ავტორთა გამოქვეყნებები არ არის შესაბამისი წესით მითითებული (გამომცემლობა, ჟურნალი და ა.შ) ან ბოლო პუბლიკაციიდან გასულია დიდი დროითი ინტერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა უზრუნველყოფს თუ არა არსებული მიზნები და კომპონენტები პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა აქცენტირებული იყო უფრო მეტად პრაქტიკაზე, ამიტომ ფსიქო-კონსულტაცია და დიაგნოსტიკა არის ჩამოტანილი ისეთ დონეზე, რომლის შესასწავლადაც ადამიანს უფრო სიღრმისეულად უნდა ჰქონდეს ბაზა ფსიქოლოგიაში. თუ ეს არ იქნება გათვალისწინებული პროგრამა ვერ გავა იმ შედეგზე რაც განსაზღვრულია საბაკალავრო პროგრამისთვის.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მოუწოდა ექსსერტებს დაეზუსტებინათ თუ რამდენ სილაბუსში ხდება ბმულების მითითება.
ექსპერტმა განმარტა, რომ ბმულები მოცემულია მაგალითად "კლინიკური ფსიქოლოგიის" "პიროვნების თეორიების"და "პროფესიული ეთიკის" სილაბუსებში.
საბჭოს თავმჯდომარემ იქედან გამომდინარე, რომ არ იკვეთება პროგრამული ბიუჯეტი, დააზუსტა თუ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავს დაწესებულება და როგორ იქნება შენარჩუნებული პროგრამის მდგრადობა.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულება გეგმავს 50 სტუდენტის მიღებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა განვითარების და დახვეწის პროცესშია და დაწესებულებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ექპერტთა რეკომენდაციები და რჩევები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:30 სთ
დასრულების დრო: 21:25 სთ

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 2.3 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, თუმცა შედეგად არ შეცვლილა მე-2 სტანდარტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 5.1 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, თუმცა შედეგად არ შეცვლილა მე-5 სტანდარტის შეფასება და ის ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიზნების და პროგრამის შედეგების ურთიერთკავშირი;
2. რეკომენდებულია სავალდებულო საგნები ქმნიდეს საფუძველს არჩევითი საგნებისთვის, კერძოდ, ფსიქოდიაგნოსტიკა უფრო ძირითადი კურსია ვიდრე კლინიკური ფსიქოლოგიის და ფსიქოკონსულტირების საფუძვლები, რომლებიც შესაძლებელია გადავიდეს არჩევით საგნებში;
3. რეკომენდირებულია პროგრამის შედეგების მიღწევის მიზნით, გაძლიერდეს ექპერიმეტული ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის და პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხების სწავლება;
4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში (მაგ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია. ფსიქოდიაგნოსტიკა, კოგნიტური ფსიქოლოგია,) ძირითადი სასწავლო მასალა სასწავლო კურსის სპეციფიკის, შინაარსის და სწავლის შედეგების გათვალიწინებით;
5. კვლევითი უნარების გამომუშავების მიზნით, გადაიხედოს შესაბამისი კურსები კვლევის მეთოდის სწავლებისათვის დათმობილი დროის, სასწავლო მასალისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით;

6. რეკომენდებულია გაიწეროს ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე;
7. რეკომენდებულია პროგრამაში საკვანძო და სავალდებულო კურსების სწავლება განხორციელდეს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის მიერ;
8. რეკომენდირებულია წარმოდგენილი იყოს პროგრამის ბიუჯეტი, დეტალური ხარჯების აღწერით;
9. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის დახვეწის და განვითარების მიზნით.

რჩევები:

- სასურველია, ჩატარებული "ბაზრის კვლევის" შედეგები აისახოს, პროგრამის მიზნებზე და შედეგებზე;
- სასურველია სილაბუსებში სავალდებულო და დამატებითი მასალა მითითებული იყოს აკადემიური წესის შესაბამისად;
- განისაზღვროს კურსის სპეციფიკის მიხედვით შეფასებები ცალკეულ აქტივობის შესაბამისად.(მაგალითად რეფერატის შემთხვევაში სტრუქტურულად უნდა აღიწეროს შეფასება);
- სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩაერთოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „ლაბორატორია Z-ის" აქტიობებში;
- სასურველია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აფილირებული პერსონალის პუბლიკაციების რაოდენობისა და ხარისხის ზრდას, იმ დროს როდესაც სასწავლო დაწესებულების ბაზაზე არის კვლევითი აქტიობის განხორციელების კარგი საშუალება;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტების შემდგომ პროგრამის განმახორციელებლებმა შეადარონ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები და უცხოური ანალოგები საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში საკუთარი პროგრამით პოზიციონირების მიზნით;
- სასურველია თუ კი პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ კიდევ უფრო გააქტიურდება კომუნიკაცია დამსაქმებელებთან პროგრამის განვითარების პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს წევრებმა ასევე კენჭი უყარეს დაწესებულებების შუამდგომლობას მიღებული გადაწყვეტილებების მიმდინარე სხდომაზე, 2021 წლის 29 დეკემბრიდან ძალაში შესვლის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:30 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა